ორი შეხვედრა

გუშინ, 31 ივლისს, მოსკოვსა და ლენინგრადში შესდგა მორიგი კალენდარული შეხვედრები სსრ კავშირის პირველობაზე ფეხბურთში (“ა” ჯგუფი).

ამავე დღეს ლენინგრადში თამაშობდნენ ადგილობრივი და თბილისის “დინამოების” ოსტატ ფეხბურთელთა გუნდები. თამაში დაიწყო თბილისელთა სწრაფი იერიშებით და პირველ წუთებშივე პაიჭაძემ გაიტანა ბურთი ლენინგრადელთა კარში. ტაიმის დამთავრებამდე სამი წუთით ადრე საზონოვმა გაათანაბრა ანგარიში. დაძაბული და საინტერესო თამაში გრძელდებოდა მეორე ტაიმშიც, მაგრამ ვერც ერთმა გუნდმა ვერ შესძლო გაედიდებინა ანგარიში.

მორიგ კალენდარულ შეხვედრას თბილისის “დინამო” ჩაატარებს 6 აგვისტოს მინსკში ადგილობრივ “დინამოსთან”.

ა. გოგოლაშვილი.
“კომუნისტი”, 1 აგვისტო 1945 წ.